სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნელი გურაშვილის 2020 წლის

ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2019 წლის ნოემბრიდან დღემდე პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს. ვუსმენდი და ვიზიარებდი მათ მიერ გამოთქმულ აზრებს. ვცდილობდი შეძლებისდაგვარად მომეგვარებინა მათი მოთხოვნები.

ნუკრიანის ქოტორის უბნის ამომრჩევლებს აუსრულდათ დიდი ხნის ოცნება, მოასფალტდა ამ დიდი უბნის გზა, სანიაღვრე არხებით. პერიოდულად მოწმდება და ახალი ნათურებით იცვლება უბნებში განათების ნათურები. მოგვარდა ნუკრიანის სოფლის ამბულატორიაში წყლის შეყვანის საკითხი. საქიმო უბანს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეუძინეს კარდიოგრაფიის აპარატი რამაც მთელი მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ყურადღება გაეწია სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს. შშ.მ.პირებს. მიიღეს ქრონიკული დაავადების წამლები უფასოდ. 150 - მა მოქალაქემ მიიღო ერთჯერადი დახმარება, თითოეულმა 100 ლარის ოდენობით. ჯანმრელობის პრობლემების მქონე 70 მოქალაქეს გაეწია წილობრივი დახმარება მუნიციპალიტრეტის ბიუჯეტიდან ოპერაციებისთვის. 150 ლარიანი დახმარება აგეწია რამოდენიმე ომის ვეტერანს. მოიხრეშა რამდენიმე საუბნო გზა, კრაწაანთ უბნის გზა, რომელიც ძლიერ დაზიანებული იყო. დაიგო ასფალტი და პრობლემური ადგილები დაიფარა ბეტონის საფარით. ნუკრიანის საჯარო სკოლას პირველ და მეორე სართულზე ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი. დაკმაყოფილდა შშ.მ პირთა მოთხოვნა და გაკეთდა სოფლის საკრებულოს შენობაში შესასვლელი პანდუსი. შეკეთდა ნუკრიანის ცენტრალური გზის ავარიული მონაკვეთი. ხელი შეეწყო მოსახლეობას ყურძნის მოკრეფასა და რეაბილიტაციაში.

ყოველივე ამის მიუხედავად, სოფელს აქვს მთელი რიგი პრობლემები. მოსახლეობა მოითხოვს: 1.სპორტული მოედნის მშენებლობას. 2.გზის მოასფალტებას ბახტურიანთ, ტოღნოღაანთ, ბასკოლიანთ უბნებში. 3.ტოღნოღაანთ უბანში მოითხოვენ ღამის განათებას. 4.აუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ ნუკრიანის საექიმო უბნის გათბობის მოგვარების საკითხი მოსახლეობას. 5.სოფლის სასაფლაოზე დარაჯების დანიშვნა. 6.ე.წ. „ტრაქტორის" მიმდებარე ტერიტორიაზე ბასეინთან წყლის მიყვანა. 7.კალოების უბნის ცენტრში საგზაო მოძრაობის ნიშნების დადმა. 8.აუცილებელია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გადამოწმება ქულების დადგენის მიზნით. 9.საჭიროა მინდორში მისასვლელი გზის ბოლომდე მოხრეშვა. 10. ჭოტორის სასაფლაოს გაფართოების საკითხი. 11. სოფლის ცენტრში მოსაცდელის გადახურვის საკითხი. 12. სამი საბავშვო ბაღის ეზოების მოწყობა და სათამაშოებით მომარაგება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 14 საკრებულოს სხდომა და აქტიურად ვესწრებოდი 14-ს. ასევე აქტიურად ვიყავი ჩართული კომისიის სხდომებში. საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ ჩაატარა 10 სხდომა და აქტიურად ვესწრებოდი 10 -ს.

პანდემიის მიუხედავად, ვეცნობი და ვიზიარებ მოსახლეობის აზრებს, დაყენებულ წინადადებებს და მთელი მონდომებით ვცდილობ პრობლემური საკითხების გადაჭრას.

შევსების თარიღი: 30.10.2020წ.

ნელი გურაშვილი